პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 1 (88) იანვარი 1959 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ.

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ.

4. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახანძრო დაცვის მდგომარეობის შესახებ.

5. თელავის, ყვარლის, ლანჩხუთის, მარნეულის, ორჯონიკიძისა და ხობის რაიონებში სანიტარული მდგომარეობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1958 წლის სტატისტიკური ანგარიშების შედეგების შესახებ.

7. ბრძანებულება გარდაბნისა და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონების სახალხო სასამართლოების გაერთიანებისა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის სახალხო სასამართლოს შექმნის შესახებ.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ კაჩრეთის რაიონის გაუქმების შესახებ.

9. ლენინგორის, ასპინძის და მცხეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა ზოგიერთი სასოფლო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

11. ბრძანებულება საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის სამგორის რაიონის პირველი მდივნის ამხ. დ. ვ. გელაშვილის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

12. ონის, მესტიის და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა, ზოგიერთ სასოფლო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

14. თელავის. ლენინგორის, დუშეთის და ჯავის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა ზოგიერთი სასოფლო საბჭოს საარჩევნო ოლქების შესახებ.

15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების ბეჭდების და ხმის მიცემის საარჩევნო ყუთის ნიმუშის შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშების დამტკიცების შესახებ.

17. ბრძანებულება ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობისაგან.

18. ბრძანებულება ამხ. გ. მ. მარუაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შესახებ.

21. ბრძანებულება ამხ. ს. ს. როსტიაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას ვადა უთავდება 1959 წლის 27 თებერვალს და საქართველოს სს რესპუბლიკის მეექვსე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილებას — 1959 წლის 17 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1959 წლის 15 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 იანვარი.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების ჩასატარებლად გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მორიგი არჩევნების ჩასატარებლად გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე— მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 იანვარი.

4. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახანძრო დაცვის მდგომარეობის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. რ. ხვედელიანის მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკაში სახანძრო დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს მიერ გატარებულ ორგანიზაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებათა შედეგად, რესპუბლიკაში ერთგვარად შემცირდა ხანძართა რაოდენობა, ხოლო მათგან გამოწვეული ზარალი 1957 წელთან შედარებით 46 პროცენტით შემცირდა.

ამასთან ერთად პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სახანძრო დაცვის საკითხებისადმი არასაკმაო ყურადღების შედეგად 1958 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კავშირგაბმულობის სამინისტროებისა და „ცეკავშირის“ ობიექტებზე ადგილი ქონდა ხანძრის შემთხვევებს, რომლებმაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

განსაკუთრებით ხშირია ხანძრიანობა სოფელ ადგილებში. იგი შეადგენს რესპუბლიკაში მომხდარ ხანძართა რაოდენობის 60 პროცენტს და მისგან გამოწვეული ზარალის 67 პროცენტს.

გაიზარდა ხანძართა რაოდენობა და მათგან გამოწვეული ზარალი სტალინირის, ჭიათურის, თიანეთის, ვანის, გეგეჭკორის, სამტრედიის, თელავის, ახალქალაქის და სხვა რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების მთელი რიგი რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოები და კომეურნეობათა გამგეობები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ორგანიზაციის, მათი ბრძოლისუნარიანობისა და სახანძრო ტექნიკით აღჭურვის, სოფლად ცეცხლგამძლე მასალების მშენებლობის დანერგვის საქმეს, შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორების და საცხოვრებელი სახლების საზოგადოებრივ სახანძრო რწმუნებულების საქმიანობას, წყალსაცავებისა და მისადგომების მოწყობის, სასოფლო სამეურნეო მანქანების ხანძრის ქრობის მიზნებისათვის გამოყენების საკითხებს.

საბჭოების სესიებზე და კომეურნეობათა გამგეობების სხდომებზე ეს საკითხები იშვიათად ახილება.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა მარტივი კინოსაპროექციო კამერების ასაშენებლად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს კინოსურათების ჩვენებას ხანძარსაშიშ პირობებში (ზნაურის, ლენინგორის, ვანის, გეგეჭკორის, ბოგდანოვკის, ქედის, გულრიფშის და სხვა რაიონებში).

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის და საავტომობილო ქარხნის, ქ. თბილისის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს № 1 და № 2 ავეჯის ფაბრიკების, ფანერის ქარხნის, მცხეთის ასანთის ფაბრიკის, ტრესტ „აქ. მეტალურგმშენის", ქ. რუსთავის ხე-ტყის ტარის ბაზის და მთელი რიგი სხვა საწარმოების ხელმძღვანელების მიერ არ სრულდება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, რის შედეგადაც ამ ობიექტების ექსპლოატაცია წარმოებს ხანძარსაშიშ პირობებში.

ხანძარსაშიშ მდგომარეობაში ხდება აგრეთვე ზოგიერთი თეატრის ექსპლოატაციაც.

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები არასაკმაოდ ზრუნავენ სასკოლო, სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებების სახანძრო უშიშროებისათვის.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო არასაკმაოდ ზრუნავს ხანძარსაშიში ობიექტების სახანძრო რაზმებთან სატელეფონო კავშირის დამყარებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ხანძრის ქრობის მიზნებისათვის წყალმომარაგების საკითხებს.

ადგილი აქვს ახალაშენებული ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის შემთხვევებს სამშენებლოდ და ხანძარსაწინააღმდეგო ნაკლოვანებებით.

ზოგიერთ რაიონში დაბალია სახანძრო რაზმის მომზადების დონე და არის შემთხვევები, როცა ისინი ხანძარს მოუმზადებლად ხვდებიან.

არ არის აღმოფხვრილი სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობისა და სახანძრო ტექნიკის არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები (ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ხრამჰეს 2-ის მშენებლობა, სიონჰესი, ზნაურის, ჯავის და სხვა რაიონებში).

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. ფოთში, ახალქალაქში, ახალციხეში და სხვ. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები საჭირო დახმარებას არ უწევენ მუშაობაში ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებას, არ აკონტროლებენ მათ საქმიანობას, რის შედეგად ზემოაღნიშნული და ზოგიერთი სხვა რაიონის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს:

ა) განიხილონ საკითხი საბჭოების სესიებზე ქალაქებში, რაიონებსა და სოფელ ადგილებში სახანძრო დაცვის მდგომარეობის შესახებ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ბ) ერთი თვის ვადაში აღძასკომის სხდომაზე განიხილონ საკითხი ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების, შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორების, საცხოვრებელი სახლების საზოგადოებრივი სახანძრო რწმუნებულების, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების მუშაობის შესახებ და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

გ) ორი თვის ვადაში, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით, ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრებისაგან ქალაქის სახანძრო რაზმებთან შექმნან მოხალისეთა სახანძრო რაზმეულები;

დ) უმოკლეს ვადაში დაამთავრონ მარტივი კინოსაპროექციო კამერების მშენებლობა კინოფილმების საჩვენებელ ადგილებში;

ე) კვარტალებისა და დაბების მშენებლობის დაგეგმვისა და დაპროექტებისას არ დაუშვან სახანძრო უშიშროების ნორმატიულ-ტექნიკური მოთხოვნების დარღვევა;

ვ) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოსთან ერთად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ქალაქის სახანძრო რაზმების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს 1959 წლის პირველ კვარტალში განიხილონ მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებზე სახანძრო უშიშროების მდგომარეობის საკითხები და მიიღონ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახანძრო უშიშროებას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დაბების განვითარების გათვალისწინებით, მიიღონ ზომები ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის წყლის მარაგის უზრუნველსაყოფად;

ბ) წყალსაქაჩი სადგურების, წყალსაცავების, დეკორაციული შადრევნების და სხვა ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს გაითვალისწინონ მათი გამოყენების შესაძლებლობა ხანძრის ჩასაქრობად;

გ) არ დაუშვან სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობისა და სახანძრო ტექნიკის არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგამშულობის სამინისტროს მიიღოს ზომები ქალაქებსა და სოფელ ადგილებში სატელეფონო კავშირის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის, ხანძარსაშიში ობიექტების სახანძრო რაზმებთან ტელეფონიზაციის უზრუნველყოფის მხედველობაში მიღებით.

5. ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ და მისმა რაიონულმა ორგანიზაციებმა, ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა და აგიტაცია, გაუმჯობესონ მოხალისეთა სახანძრო რაზმების მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, გამოსცეს ბროშურები, პლაკატები, გამოუშვას მოკლემეტრაჟიანი კინოფილმები ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის თემებზე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს უფრო ხშირად მოაწყოს რადიოთი და ტელევიზიით ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე საუბრებისა და ლექციების გადაცემა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ პროკურატურას, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, უზრუნველყონ ხანძრის მიზეზების დროული გამორკვევა და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა.

9. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამხ. ღარიბაშვილი, ამხ. პაჭკორია) გააძლიეროს ზედამხედველობა რესპუბლიკაში ხანძრო უშიშროების მდგომარეობისადმი და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 იანვარი.

5. თელავის, ყვარლის, ლანჩხუთის, მარნეულის, ორჯონიკიძისა და ხობის რაიონებში სანიტარული მდგომარეობის შესახებ

მოისმინა. რა უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ქ. დ. ერისთავის მოხსენება თელავის, ყვარლის, ლანჩხუთის, მარნეულის, ორჯონიკიძისა და ხობის რაიონებში სანიტარული მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამ რაიონებში ერთგვარად გაუმჯობესებულია სანიტარული მდგომარეობა, სანიტარული წესრიგისათვის ბრძოლაში ფართოდ არის ჩაბმული მოსახლეობა და ლიკვიდირებულია მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა კერები.

მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის შემოწმებით გამოვლინდა, რომ აღნიშნულ რაიონების მთელ რიგ სოფლებში და რაიონულ ცენტრებში სანიტარული მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია და ირღვევა სანიტარული წესები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ბევრ ადგილას ცუდად არის დაყენებული მოსახლეობის ვარგისი სასმელი წყლით მომარაგება, არ არის საკმაო რაოდენობის აბანები, დროულად არ აწარმოებენ ქუჩების და სოფლების დასუფთავებას, არ გააჩნიათ დასუფთავებისათვის საჭირო ტრანსპორტი, ინვენტარი, სანაგვე ყუთები და სხვა.

ხშირ შემთხვევაში ნაგვის დასაყრელი ადგილები გამოყოფილია დასახლებული პუნქტების ახლოს, რაც ხელს უწყობს საცხოვრებელ ბინებში, კვების ობიექტებში ბუზებისა და მღრღნელების გავრცელებას და ეპიდემიურ ავადმყოფობათა წარმოშობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ბრძოლა ბუზებისა და თაგვების წინააღმდეგ. ვაჭრობის ადგილმრივიმა ორგანოებმა ვერ მოაწესრიგეს ბუზსაწინააღმდეგო და სადეზინფექციო საშუალებების მოსახლეობისათვის მიყიდვის საქმე.

მარნეულის, ყვარლის, ხობისა და ორჯონიკიძის რაიონების მოსახლეობის 20-30 პროცენტს არა აქვს საპირფარეშოები, რის გამოც ამ რაიონების ზოგიერთი საცხოვრებელი უბნები ხშირად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საკოლმეურნეო აბანოების შენებლობას. გეგმით გათვალისწინებული საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობის დავალება არ სრულდება, არ არის მიღებული ქმედითი ზომები უმოქმედო საკოლმეურნეო აბანოების აღდგენისათვის. მათი შენობათა ნაწილი გამოყენებულია საწყობებად და სხვა დანიშნულებისათვის, ხოლო ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ლეღვანში საკოლმეურნეო აბანოს შენობა მიყიდეს კერძო პირს საცხოვრებელ ბინად.

ცეკავშირმა დღემდე ვერ უზრუნველყო აბანოებისათვის საჭირო მოწყობილობისა და ზოგიერთი დანადგარის კოლმეურნეობებისათვის მიყიდვის საქმე.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მოსახლეობის კეთილხარისხოვანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეშიც, განსაკუთრებით ლანჩხუთის რაიონის ცენტრში და სოფელ სუფსაში, ყვარლის რაიონის სოფ. ახალ სოფელში, მარნეულის რაიონის დაბა შაუმიანში.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სოფლის წყაროებისა და საზოგადოებრივი ჭების კეთილმოწყობის საქმეს, რის გამოც მოსახლეობას და კვების საწარმოო ობიექტებს უხდებათ უვარგისი წყლის ხმარება, რაც ხშირად მოსახლეობაში ინფექციურ დაავადებათა გავრცელების მიზეზია.

საზოგადოებრივი კვების ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი იჩენს ამ საქმის შეუფასებლობას, რის შედეგადაც მათ ობიექტებში სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. არა აქვთ მოწყობილი ჟურჭლის რეცხვა გამდინარე ცხელი წყლით, სუსტად იბრძვიან ბუზების წინააღმდეგ და მტკიცედ არ იცავენ სანიტარულ წესებს.

სანიტარული მდგომარეობის გაუჯობესებისათვის სუსტად იბრძვიან რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები, მუდმივი კომისიები. ისინი საკმაო მუშაობას არ ეწევიან მოსახლეობაში სანიტარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისათვის, ნაკლებად იყენებენ სოფლის ინტელიგენციას — ექიმებს, მასწავლებლებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მოსახლეობის სანიტარულ-კულტურული ღონის ასამაღლებლად. სუსტია აგრეთვე მილიციის ადგილობრივი ორგანოების მუშაობა სანიტარული წესრიგის დამკვიდრებისათვის, მათი მუშაობა ამ მხრივ უმეტეს შემთხვევებში ატარებს კამპანიურ ხასიათს, არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს სანიტარული რეჟიმის დამრღვევთა წინააღმდეგ.

რაიონებში სანიტარული საქმის ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმის შედეგიც არის, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რესპუბლიკის მთავარი სანიტარული ინსპექცია, რაონული და საქალაქო სანეპიდინსპექციები არ ახორციელებენ სისტემატურ კონტროლს და ორგანიზატორულ მუშაობას და უმეტეს შემთხვევებში მათი მუშაობა განისაზღვრება საინსპექციო შემოწმების ჩატარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაეკალოს თელავის, ყვარლის, მარნეულის, ორჯონიკიძის, ხობისა და ლანჩხუთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უახლოეს ვადაში ჩაატარონ რაიონში სანიტარული მდგომარეობის შემოწმება, განიხილონ აღნიშნული საკითხი საბჭოს სესიაზე, ან აღმასკომის სხდომაზე, და განაზორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სანიტარული მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

ბ) წესრიგში მოიყვანონ ნაგვის გადასაყრელი ადგილები ქალაქებში და რაიონის ცენტრებში და არ დაუშვან მათი არსებობა დასახლებული პუნქტებისა და სასურსათო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მახლობლად. პერიოდულად მოაწყონ მოსახლეობის ფართო მონაწილეობით დასახლებული პუნქტების დასუფთავება და არ დაუშვან სავალდებულო სანიტარული წესების დარღვევა;

გ) ყოველდღიურად გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჩაატარონ ქალაქებისა და სოფლების დასუფთავების ერთთვიურები, ამასთან ჩაბან ამ მუშაობაში საწარმოები და ორგანიზაციები მათი სატრანსპორტო საშუალებებით;

დ) უზრუნველყონ საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობის გეგმების შესრულება, არსებული აბანოების ნორმალური მუშაობა და უმოქმედო საკოლმეურნეო აბანოების აღდგენა; არ დაუშვან საკოლმეურნეო აბანოების შენობათა არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

ე) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სამეურნეო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ფართო მონაწილეობით მიიღონ გადამწყვეტი ზომები კეთილხარისხოვანი სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის, საერთო სარგებლობის ჭებისა და წყაროების კეთილმოწყობისა და სრულ სანიტარულ-ტექნიკურ წესრიგში მოყვანისათვის; წესრიგში მოიყვანონ აგრეთვე ის არხები, რომლებიდანაც სასმელად იღებენ წყალს. მიიღონ საჭირო ზომები რაიონში არსებული ყველა წყალსადენის სათავე ნაგებობათა სანიტარული დაცვისათვის.

2. დაეკალოს საქართველოს სსრ აგროლობრივი მეურნეობის სამინისტროს (ამხ. კ. ი. ბარიგიანს) გაუწიოს რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დახმარება სათანადო ტრანსპორტისა და ინვენტარის გამოყოფით და მიიღოს საჭირო ზომები რაიონული ცენტრებისა და ქალაქების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

3. დაეკალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილს):

ა) გადაჭრით გაუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობა დასახლებულ ადგილებში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასამყარებლად; ადგილობრივი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით შექმნას ქალაქის უბნებში, სამრეწველო საწარმოებთან, სასწავლებლებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან ექიმთა და აქტივის სპეციალური ბრიგადები და მიაღწიოს მოსახლეობის ფართო მონაწილეობას რაიონებსა და ქალაქებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში;

ბ) გააუმჯობესოს მოსახლეობის სანიტარული განათლების, ჰიგიენური აღზრდის ღონისძიებანი და ფართოდ გაშალოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა ეპიდემიურ და ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. შელიას მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა მილიციის ორგანოებმა გააძლიერონ კონტროლი დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობისადმი და იმისათვის, რომ დაწესებულებაორგანიზაციათა და სახლმმართველობათა ხელმძღვანელებმა მტკიცედ დაიცვან სანიტარული რეჟიმი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ზ. ნ. კეცხოველს:

ა) გაუმჯობესონ მოსახლეობისათვის ბუნსაწინააღმდეგო და სადეზინფექციო საშუალებების მიყიდვის საქმე;

ბ) გაატარონ ღონისძიებანი კვებისა და სავაჭრო ობიექტების სანიტარული მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს კოლმეურნეობებისათვის აბანოების მოწყობილობისა და ინვენტარის მიყიდვა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ სანიტარული მდგომარეობა რაიონებსა და ქალაქებში, განიხილონ ეს საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
9 წ. 17 იანვარი.

6. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1958 წლის სტატისტიკური ანგარიშების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1958 წლის სტატისტიკური ანგარიშების შედეგების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების როლი, საბჭოები და მათი აპარატები უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში, განმტკიცდა საბჭოების კავშირი მასებთან, საგრძნობლად გაუმჯობესდა საბჭოების ორგასაბრივი მუშაობა.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების 85,2 პროცენტმა ჩაუბარა ანგარიში ამომრჩეველს, ხოლო ამავე პერიოდში საბჭოების სესიებისათვის ანგარიშები ჩაბარებული აქვს აღმასკომების 92 პროცენტს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშაობა საბჭოების მუდმივმა კომისიებმა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში და სათანადო დახმარებას უწევენ აღმასკომების განყოფილებებს მუშაობაში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბჭოების დეპუტატების მიერ ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების და მოსახლეობის ფართო მასების სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ჩაბმის საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეს სათანადო ყურადღებით ეკიდებიან ახალციხის, ასპინძის, სიღნაღის, სამტრედიის და სხვა რაიონებში, სადაც დეპუტატთა 98-100 პროცენტს ჩაბარებული აქვს ანგარიშები ამომრჩევლებისათვის.

ამომრჩეველთა მოთხოვნით საგარეჯოს რაიონის პატარძეულის სასოფლო საბჭოს დეპუტატის ს. უსტიაშვილის ინიციატივით სოფელ პატარძეულში გაკეთდა ორი კილომეტრის სიგრძის გზა; გომბორის სასოფლო საბჭოს დეპუტატის ს. ქისტაურის ინიციატივით სოფელ ასკილურში გაყვანილ იქნა სასმელი წყალი და სოფელ ვერონაში მისასვლელი გზა. ქალაქ რუსთავში დეპუტატების: მირონოვას, კილასონიას და სხვების ინიციატივით „ტეცა"-ის დასახლებაში გაყვანილ იქნა ბეტონირებული ავტოგზა 2 კილომეტრის სიგრძეზე და დამხმარე საწარმოებთან მისასვლელი ტროტუარები.

წულუკიძის რაისაბჭოს დეპუტატმა ბ. სულაბერიძემ, მიუხედავად მოხუცებულობისა, მასზე გაბარებულ 1 ჰექტარი ფართობიდან მიიღო 39,5 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 14 ცენტნერისა, ხოლო დეპუტატმა ი. იობაძემ მასზე გაბარებულ 0,45 ჰექტარიდან, ნაცვლად 630 კილოგრამისა, მიიღო 2260 კილოგრამი სიმინდი.

თელავის რაიონის საბჭოს დეპუტატების ინიციატივით და მოსახლეობის მონაწილეობით დაიწყო შუამთა-ცივის გზის მშენებლობა, რომელიც რაიონის მოსახლეობას დააკავშირებს კურორტ ცივთან და კოლმეურნეობებს — საზაფხულო საძოვრებთან.

ახალციხის რაიონული საბჭოს დეპუტატების ლ. აბაშიძის, ე. აზნაუროვას და დ. კურტანიძის ინიციატივით რაიონული საავადმყოფოს შენობა გაფართოვდა 700 კვად. მეტრით.

ყვარლის რაისაბჭოს და სასოფლო საბჭოების დეპუტატების ინიციატივით სოფელ ბავაზში შენდება 25 საწოლიანი საავადმყოფო და აფთიაქი, დამთავრდა 510 ადგილიანი კულტურის სახლის მშენებლობა, მოიწყო რადიოკვანძი სოფელ ენისელში და რადიოფიცირებულია მთელი სოფელი.

ყაზბეგის რაიონული საბჭოს დეპუტატის ა. მარსაგიშვილის ინიციატივით სოფ. ხურთისში გაკეთდა მდინარე ქვესიაზე ხიდი და საწარმოებს სოფელში სასმელი წყლის გაყვანა. ღუმეთის რაიონული საბჭოს დეპუტატის ლ. ნუროზიანის დახმარებით სოფ. ოძისში გაყვანილ იქნა სასმელი წყალი 3 კილომეტრის სიგრძეზე.

მესტიის რაიონული საბჭოს დეპუტატის დ. ჯაჭვლიანის ინიციატივით გაფართოვდა იფარ-ადაშის საავტომობილო გზა და სოფელ ადაშში დროულად იქნა შეტანილი პირველი მოთხოვნილების საგნების ზამთრის მარაგი.

სიღნაღის რაიონის საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ი. გონაშვილის მიერ რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე გატანილი იქნა რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლის აღების მიმდინარეობის, პირუტყვისათვის საკვების დამზადების, მანქანა-იარაღების შეკეთების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის მიმდინარეობის და სხვა საკითხები. ამავე საბჭოს ვაჭრობის მუდმივი კომისიის (თავმჯდომარე დეპუტატი ა. გ. ნონეზოვი) მიერ შემოწმებული და აღმასკომზე განხილული იქნა რაიონში ავეჯის წარმოების გაზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, საკოლმეურნეო სავაჭრო მაღაზიების მუშაობის და სხვა საკითხები.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ ფართოდ არ არის ჩაბმული ყველა დეპუტატი, ზოგ შემთხვევაში დეპუტატების ანგარიშების ჩაბარებას ამომრჩევლების წინაშე ფორმალური ხასიათი აქვს, სათანადო სიმაღლეზე არ არის აყვანილი მუდმივი კომისიების მუშაობისა და აღმასკომების საბჭოებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმე, საბჭოების მუშაობაში ფართოდ არ არის ჩაბმული მოსახლეობის აქტივი.

არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ წითელწყაროს სადაბო საბჭოს 28 და ბათუმის საქალაქო საბჭოს 199 დეპუტატიდან არცერთ დეპუტატს არა აქვს ჩაბარებული ანგარიში ამომრჩევლებისათვის, ზოგიერთ რაიონში დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარებას არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. მაგალითად, ახალქალაქის რაიონული საბჭოს 57 დეპუტატიდან 10 დეპუტატს აქვს ჩაბარებული ანგარიში, ხოლო საქალაქო საბჭოს 32 დეპუტატიდან 8 დეპუტატს. ლენტეხის რაიონული საბჭოს 31 დეპუტატიდან ანგარიში ჩაბარებული აქვს მხოლოდ 10 დეპუტატს. მსგავს მდგომარეობას ადგილი აქვს ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

ადგილობრივი საბჭოების საერთო რიცხვიდან 16,7 პროცენტს დარღვეული აქვს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადები. დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომს ნაცვლად 6 სესიისა, მოწვეული აქვს მხოლოდ 3 სესია, ახმეტის, ზუგდიდის, ორჯონიკიძის, ქუთაისის, წალენჯიხის, წალკის და სხვა რაისაბჭოებს 4-4 სესია, ბორჯომის და ზუგდიდის საქალაქო საბჭოს 3-3 სესია; ბოგდანოვკის რაიონის 7 სასოფლო საბჭოდან ვადები დაარღვია 3, ბორჯომის რაიონის 8 სასოფლო საბჭოდან — 4, ლენტეხის 9 სასოფლო საბჭოდან — 7, მარნეულის 12 სასოფლო საბჭოდან — 6 და ა. შ.

ზოგიერთ რაიონებში სასოფლო საბჭოების აღმასკომებს საანგარიშო პერიოდში არც ერთხელ არა აქვს ჩაბარებული ანგარიშები საბჭოებისათვის. ასე, მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონის სასოფლო საბჭოდან 4 საბჭოს აღმასკომს, ლენტეხის 9 საბჭოდან — 5 საბჭოს აღმასკომს, საჩხერის 11 სასოფლო საბჭოდან — 8 საბჭოს აღმასკომს.

ზოგიერთ საბჭოებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამომრჩეველთა განწესების შესწავლას და შესრულებას, სათანადოდ ვერ იყენებენ ადგილობრივ შესაძლებლობებს.

სუსტად მუშაობენ ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისიები. აქტიურად არ მონაწილეობენ საბჭოებისა და მათი აღმასკომების პრაქტიკულ საქმიანობაში, სათანადოდ არ ეხმარებიან აღმასკომებს სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებასა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

ზოგიერთი საბჭოს მუდმივი კომისია იშვიათად ამზადებს და შეაქვს სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები.

საჩხერის, ტყიბულის, ახმეტის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, წყალტუბოს და სხვა რაიონული საბჭოების სესიებზე არ არის მოსმენილი არც ერთი მუდმივი კომისიის ანგარიში. წითელწყაროს სადაბო საბჭოს მუდმივ კომისიებში არ არის ჩაბმული აქტივი და არც ერთი კომისიის თანამოხსენება არ არის მოსმენილი სესიის ან აღმასკომის სხდომებზე.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ იცავენ დებულების მოთხოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების შესახებ, რის შედეგადაც გასული 900-ზე მეტი დეპუტატის ნაცვლად არჩეულია მხოლოდ 6 დეპუტატი. ჯერ კიდევ ადგილი აქვს საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობის ხშირ ცვლებადობას, რის შედეგადაც აღმასკომების თავმჯდომარეებად და მდივნებად მუშაობენ არადეპუტატები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები ადგილობრივი საბჭოების და აღმასკომების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საბჭოების მუშაობაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები და მოსახლეობის აქტივი;

ბ) მტკიცედ დაიცვან საბჭოების მუშაობაში ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი, სესიების და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადებაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

გ) არ დაუშვან სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადების დარღვევა და მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების აღმასკომები პერიოდულად ანარებდნენ ანგარიშებს სესიებს, თავიანთი მუშაობის შესახებ;

დ) მიიღონ ზომები კომისიების მუშაობის გასაუმჯობესებლად და მიაღწიონ იმას, რომ ისინი აქტიურ დახმარებას უწევდნენ საბჭოების აღმასკომებს და მათ განყოფილებებს მუშაობის უკეთ წარმართვის საქმეში და პერიოდულად მოისმინონ მათი ანგარიშები საბჭოს სესიების სხდომებზე, დაეხმარონ მათ აქტივის მიზიდვის საქმეში;

ე) არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად და მდივნებად არადეპუტატების არჩევა;

ვ) მტკიცედ დაიცვან არჩევნების დებულების მოთხოვნა, გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნებისა.

2. დაეკალოთ საქართველოს სსრ საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს, მაქსიმალურად გამოიყენონ საბჭოების არჩევნებამდე დარჩენილი დრო და უზრუნველყონ ყველა დეპუტატის მიერ ანგარიშის ჩაბარება თავიანი და საბჭოს მუშაობის შესახებ, საჭირო დახმარება გაუწიონ დეპუტატებს ამომრჩევლებთან შეხვედრის და საანგარიშო კრებების მოწყობა-ჩატარების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 იანვარი.

7. ბრძანებულება გარდაბნისა და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონების სახალხო სასამართლოების გაერთიანებისა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის სახალხო სასამართლოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაბნისა და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონების გაერთიანებასთან დაკავშირებით გაერთიანდეს გარდაბნისა და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონების სახალხო სასამართლოები ერთ — ქ. თბილისის სამგორის რაიონის სახალხო სასამართლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ქ. თბილისის სამგორის რაიონის სახალხო სასამართლო განისაზღვროს ადრე არჩეული 3 სახალხო მოსამართლისა და 210 სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 იანვარი.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ კაჭრეთის რაიონის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1 გაუქმდეს საქართველოს სსრ კაჭრეთის რაიონი და მასში შემავალი სასოფლო საბჭოები მიეკუთვნოს:

ა) გურჯაანის რაიონს — კაჭრეთის, ჯიმითის, არაშენდის, მელაანის და ჩალაუბნის;

ბ) საგარეჯოს რაიონს — ყანდაურის, კაკაბეთისა და ირმუღანლოსი.

2. გამოეყოს კაკაბეთის სასოფლო საბჭოს სოფელი პატარა ჩაილური და მიეკუთვნოს საგარეჯოს რაიონის ჩაილურის სასოფლო საბჭოს.

3. გამოეყოს კაჭრეთის სასოფლო საბჭოს სოფელი შიბლიანი და მიეკუთვნოს საგარეჯოს რაიონის ყანდაურის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 21 იანვარი.

9. ლენტეხის, ასპინძის და მცხეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა ზოგიერთი სასოფლო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების ლენტეხის რაიონის ცანისა და უშგულის, ასპინძის რაიონის რუსთავის და ოთის და მცხეთის რაიონის ცხვარიჭამიის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, შექმნან სასოფლო საბჭოების არჩევნების 15-15 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 23 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 36 და 37 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლელაშვილი მიხეილ მიხეილის-ძე — პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამირანაშვილი დავით დიმიტრის-ძე — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი — რთველიაშვილი იოსებ გიორგის-ძე — საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

გეგეშიძე გიორგი ანდრიას-ძე — თბილისის ქალაქის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

თათრიშვილი ნინო თომას ასული — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების კოლექტივისაგან;

შევარდნაძე ედუარდ ამბროსის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან;

კობერიძე ვარდაშ გიორგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედი საამქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ჭილაია სერგი ესტატეს-ძე — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან;

მამედოვი ჯამალ ბალაჯა ოღლი — მარნეულის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

შარაძე ლენა მირიანის ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის ყოლმეურნეობის წევრებისაგან;

ჭყონია მაყვალა სერგის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მალია შამონია ხაჯარატის ასული — გუდაუთის რაიონის სოფელ ააცის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზანდარაშვილი თამარ გიორგის ასული — გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრებისაგან;

ალბოროვი სოსლან ალექსანდრეს-ძე — პროფესიული კავშირების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოსაგან;

იაკიმოვი გრიგოლ პროტასის-ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 იანვარი.

11. ბრძანებულება საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის სამგორის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. დ. ვ. გელაშვილის დაჯილდოების შესახებ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის სამგორის რაიკომის პირველი მდივანი დმიტრი ვასილის-ძე გელაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 იანვარი.

12. ონის, მესტიის და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა, ზოგიერთ სასოფლო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს ონის რაიონის მთისკალთის, მესტიის რაიონის ფარის და ქარელის რაიონის ტყემლოვანის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, შექმნან სასოფლო საბჭოების არჩევნების 15-15 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 28 იანვარი.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ალადგოვს პავლე არტემის-ძეს — რესპუბლიკური სანიტარული ეპიდემიური სადგურის სახელმწიფო სანიტარულ ინსპექტორს
2. ამირანაშვილს ნინო ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიცინის სამსახურის პოლიკლინიკის ექიმ-პედიატრს
3. ასლანიანს პაროირ ეღიშის-ძეს — ახალქალაქის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგეს
4. ბაბუხადიას ვასილ დიმიტრის-ძეს — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგეს
5. ბალანჩივაძეს ალექსანდრა ილარიონის ასულს — ტრესტ „ჭითურმარგანეცის“ სტალინის სახელობის მაღაროს ექიმს
6. ბეთანელს თამარ მიხეილის ასულს — ქ. ბათუმის 1-ლი საავადმყოფოს განყოფილების გამგეს
7. ბუიშვილს დავით საბას-ძეს — ყვარლის რაიონის მთავარ ექიმს
8. გოცაძეს კალისტრატ მიხეილის-ძეს — ქ. თბილისის მე-19 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს
9. გურგენიძეს გრიგოლ ირაკლის-ძეს — ქ. თბილისის 1-ლი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს
10. ვაისბეინს ზინოვი ალექსანდრეს-ძეს — ასპინძის რაიონის უბნის საავადმყოფოს გამგეს
11. თაქთაქიშვილს შალვა ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ ქირურგს
12. თიბილოვას ნატალია გრიგოლის ასულს — სამხრეთ ოსეთის საოლქო სამშობიარო სახლის განყოფილების გამგეს
13. კალანდაძეს ეკატინა იაკობის ასულს — ჩოხატაურის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს
14. კარგას ილია აბრამის-ძეს — ქ. სოხუმის მე-3 პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს.
15. კვირკველიას ოლღა სამსონის ასულს — რესპუბლიკური კლინიკური ბავშვთა საავადმყოფოს მთავარ ექიმს
16. კოლოდკინს ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს — მედიცინის სამსახურის გენერალ-მაიორს
17. ლომსაძეს ასკალონ ანტონის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების უფროსს
18. მასხულია-ჩაჩავა ირინე ალექსის ასულს — ქ. თბილისის 1-ლი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეს
19. ნადარეიშვილს ანდრია რემანოზის-ძეს — აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოს საექიმო უბნის ექიმ-სტომატოლოგს
20. ნაროუშვილს კონსტანტინე ლაზარეს-ძეს — ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების გამგეს

7832

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. ნიკოლეიშვილს ტარასი ონისიმეს-ძეს — ქ. ქუთაისის 1-ლი საავადმყოფოს თვალის განყოფილების გამგეს
22. ნიკურაძეს სილოვან ილიას-ძეს — ქ. თბილისის მე-6 საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს
23. პიროქკოვს ვლადიმერ ვასილის-ძეს — „ვეს“ შტაბის სამმართველოს სანიტარული ნაწილის უფროსს
24. პირველს ევგენია გრიგოლის ასულს — ლენტეხის რაიონის ექიმ-სტომატოლოგს
25. სანოვას თამარ ვლადიმერის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პოლიკლინიკის ექიმ-რენტგენოლოგს
26. ფიცხელაურს ქეთევან ივანეს ასულს — ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს
27. ყიფიანს გიორგი დავითის-ძეს — ლანჩხუთის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს
28. ჩიხლაძეს ვალერიან დიონისეს-ძეს — მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკს
29. ჩუბინიშვილს ელისაბედ გიორგის ასულს — საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს
30. ჭალაგანიძეს შალვა ნესტორის-ძეს — კურორტ წყალტუბოს დირექტორს
31. ჭელიძეს გერონტი ჯაბას-ძეს — მახარაძის რაიონის ბახვის საექიმო უბნის ექიმს
32. ხარაზაშვილს შოთა კორნელის-ძეს — ახმეტის რაიონის მთავარ ექიმს
33. ხერხეულიძეს ნატალია გალის ასულს — მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს
34. ხუციშვილს ვახტანგ ფილიმონის-ძეს — ბორჯომის ტერიტორიული საკურორტო სამმართველოს უფროსს
35. ჯაფარიძეს ქეთინა იოსების ასულს — მესტიის რაიონული საავადმყოფოს პედიატრს
36. ჯანდიერს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ქალაქის სამალარიო დისპანსერის ყოფილ ექიმ-ორდინატორს (ამჟამად პენსიონერს).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 28 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. თელავის, ლენინგორის, დუშეთის და ჯავის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა ზოგიერთი სასოფლო საბჭოს საარჩევნო ოლქების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს თელავის რაიონის თეთრიწყლების, ლენინგორის რაიონის გდუს, დუშეთის რაიონის უკანაფშავის და ჯავის რაიონის ქეშელთის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, შექმნან საბჭოების არჩევნების 15-15 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 29 იანვარი.

15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების ბეჭდებისა და ხმის მიცემის საარჩევნო ყუთის ნიმუშის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები ჩატარდება ერთდროულად 1959 წლის 15 მარტს, საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად შეიქმნას საერთო საარჩევნო უბნები.

2. ნება დაერთოს საუბნო საარჩევნო კომისიებს ისარგებლონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის არჩევნების ნიმუშის საუბნო საარჩევნო კომისიების ბეჭდებით და საარჩევნო ყუთებით, ხოლო ამომრჩეველთა მცირე რიცხვის საარჩევნო უბნებში ისარგებლონ შემცირებული ზომის საარჩევნო ყუთებით.

3. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების საარჩევნო კომისიებმა და ამ საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებმა ისარგებლონ სათანადო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ბეჭდებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 30 იანვარი.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების 29, 37, 45 და 53 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საარჩევნო ბიულეტენები, შემდეგი ნიმუშები:

საარჩევნო ბიულეტენები ზომით 144 ×101 მმ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს არჩევნებისათვის — მწვანე ფერის ბიულეტენი, ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე;

რაიონული და ქალაქ თბილისის რაიონების საბჭოების არჩევნებისათვის — ცისფერი ბიულეტენი, ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;

საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის თეთრი ფერის ბიულეტენი, ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 30 იანვარი.

17. ბრძანებულება ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. დავით გრიგოლის-ძე მამამთავრიშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 18 თებერვალი.

18. ბრძანებულება ამხ. გ. მ. მარუაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. გიორგი მინას-ძე მარუაშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 18 თებერვალი.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ

1. განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. დაეკისროს ამხ. მიხეილ გრიგოლის-ძე ვეფხვაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 18 თებერვალი.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შესახებ

სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების, სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების და მათი საქმიანობისადმი კონტროლის ერთ ორგანოში თავმოყრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების რევიზია, მთელი მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი, სასამართლო სტატისტიკის წარმოება, აგრეთვე სახელმწიფო სანოტარო კანტორებისადმი ხელმძღვანელობა.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56 და 81 მუხლებში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 21 თებერვალი.

21. ბრძანებულება ამხ. ს. ს. როსტიაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. სერგო საბას-ძე როსტიაშვილი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან ამ სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 18 თებერვალი.